საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის

ბრძანება №143/ნ
2023 წლის 26 დეკემბერი

ქ. თბილისი

განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროს სახელმწიფო მნიშვნელობის სიმბოლოების დამტკიცების შესახებ

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 25-ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, „სახელმწიფო მნიშვნელობის სიმბოლოების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის პირველი პუნქტის, "საქართველოს მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ" საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე" საქართველოს კანონის (N3822-XIIIმს-Xმპ; 15/12/2023), საქართველოს მთავრობის 2022 წლის 14 დეკემბრის №572 დადგენილებით დამტკიცებული „აღმასრულებელი ხელისუფლების, ზოგიერთი საჯარო დაწესებულების ემბლემის გამოსახვის წესის“ შესაბამისად, **ვბრძანებ**:

მუხლი 1

დამტკიცდეს:

ა) განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროს ემბლემის ფორმები დანართების №1-ის, №2-ის, №3-ისა და №4-ის შესაბამისად;

ბ) განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროს ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის (ბრძანების) ბლანკის ფორმა დანართი №5-ის შესაბამისად;

გ) განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის მინისტრის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის (ბრძანების) ბლანკის ფორმა დანართი №6-ის შესაბამისად;

დ) განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროს ოფიციალური კორესპონდენციის (წერილის) ბლანკი (ქართული ვერსია) დანართი №7-ის შესაბამისად;

ე) განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროს ოფიციალური კორესპონდენციის (წერილის) ბლანკი (ინგლისური ვერსია) დანართი №8-ის შესაბამისად;

ვ) განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის მინისტრის ოფიციალური კორესპონდენციის (წერილის) ბლანკი (ქართული ვერსია) დანართი №9-ის შესაბამისად;

ზ) განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის მინისტრის ოფიციალური კორესპონდენციის (წერილის) ბლანკი (ინგლისური ვერსია) დანართი №10-ის შესაბამისად;

თ) განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროში ფიზიკური პირების (თანამშრომლის) შემოსასვლელად გასაცემი საშვის ფორმა დანართ №11-ის შესაბამისად;

ი) განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროში ფიზიკური პირების (სტუმრის) შემოსასვლელად გასაცემი საშვის ფორმა დანართ №12-ის შესაბამისად;

კ) განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროში ავტოსატრანსპორტო საშუალებით შემოსასვლელად გასაცემი უვადო საშვის ფორმა დანართ №13-ის შესაბამისად;

ლ) განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროში ავტოსატრანსპორტო საშუალებით შემოსასვლელად გასაცემი ვადიანი საშვის ფორმა დანართ №14-ის შესაბამისად;

მ) განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროს მედიასთან საკომუნიკაციო ბანერის ფორმა დანართი №15-ის, №16-ის, №17-ისა და №18-ის შესაბამისად.

მუხლი 2

ძალადაკარგულად გამოცხადდეს ,,განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს სახელმწიფო მნიშვნელობის სიმბოლოების დამტკიცების შესახებ" საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2023 წლის 26 ივნისის №51/ნ ბრძანება.

მუხლი 3

ეს ბრძანება ამოქმედდეს 2024 წლის 1 იანვრიდან.

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრი **გიორგი ამილახვარი**